# შეთანხმება N2

ქ. თბილისი 13 სექტემბერი 2012 წელი

## 2012 წლის 03 მაისის №289 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ერთი მხრივ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით **(შემდგომში შემსყიდველი)**
**მისამართი:** ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12, ტელ: (995 32) 299 10 76.
**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა 200122900
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 203 840 433
და
მეორე მხრივ – **სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"**-ს ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის **ანა ნადირაშვილის** სახით **(შემდგომში მიმწოდებელი)**
**მისამართი, ტელეფონი:** ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N84. ტელ:(995 32) 2258484; 2290524
**საბანკო რეკვიზიტები:** სს "ლიბერთიბანკი" ც/ფ, ბანკის კოდი LBRTGE22; ანგარიშის № GE86LB0121113150235000.
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 204852089

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2012 წლის 03 მაისის №289 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შეწყვეტილ იქნას 2012 წლის 15 სექტემბრიდან, ამავე ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის საფუძველზე, ხოლო ხელშეკრულების ღირებულება გაწეული მომსახურების შესაბამისად განისაზღვროს **2720.00** (ორი ათას შვიდასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარით.

2. განხორციელდეს ცვლილება ამავე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**"7.3 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეებს შორის ვალდებულებების სრულ შესრულებამდე"**

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის 2012 წლის 14 სექტემბრიდან და წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს შორის 2012 წლის 03 მაისს გაფორმებული №289 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი | სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| ნინო მურჯიკნელი | ანა ნადირაშვილი |

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტთან

*020185275435012*

KA020185275435012


საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534


**№ 18/19348** **11 / სექტემბერი / 2012 წ.**

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო''

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში დაგეგმილ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სტრუქტურული ერთეულის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თქვენს შორის გაფორმებული 2012 წლის 3 მაისის №289 ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2012 წლის 15 სექტემბრიდან შეწყვეტის მიზნით საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და
ლოჯისტიკის დეპარტამენტი, დეპარტამენტის
უფროსი

ნინო მურჯიკნელი